

შპს „შირაქი“
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შპს შირაქი

ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - ----- 3

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ----- 5

ფულადი სახსრების მოძრაობა ----- 5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია ----- 6

ანგარიშგების მომზადების საფუძვლები ----- 6

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები ----- 7-12

შპს შირაკი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2023	2022	2021
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	521291	557583	498495
სულ გრძელვადიანი აქტივები		521,291	557,583	498,495
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	6	316622	423116	141270
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1232413	1428176	885072
ფული და ფულის ექვივალენტები	5	56824	58468	81697
სულ მიმდინარე აქტივები		1,605,859	1,909,760	1,108,039
სულ აქტივები		2,127,150	2,467,343	1,606,534
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		1,578,528	1,583,158	1,079,479
სულ საკუთარი კაპიტალი		1,578,528	1,583,158	1,079,479
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	548622	884185	527055
სულ მიმდინარე ვალდებულებები		548,622	884,185	527,055
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,127,150	2,467,343	1,606,534

შპს შირაკის დირექტორი :

გივი ქავთარაძე

1 v 3. 



შპს შირაქი
 ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2,023	2,022
შემოსავალი	11	6,562,118	7,849,580
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(4,815,762)	(5,776,201)
საერთო მოგება		1,746,356	2,073,379
საერთო ადმინისტრაციული დანახარჯები	13	(1,687,101)	(1,599,530)
არასაოპერაციო ხარჯები/შემოსავლები წმინდა		53,014	99,069
მოგება დაბეგვრამდე		112,269	572,918
მოგების გადასახადის ხარჯი		(18,946)	(11,240)
წმინდა მოგება		93,324	561,679
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		93,324	561,679
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,583,158	1,079,479
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(97,954)	(58,000)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,578,528	1,583,158

შპს შირაქის დირექტორი :
 გივი ქავთარაძე

153-


შპს შირაქი
ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	საფესდეო კაპიტალი	გაუხაჩილებელი მოგება/ზარალი	სულ
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი	-	775,366	775,366
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	775,366	775,366
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი	-	304,113	304,113
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	1,079,479	1,079,479
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი	-	561,679	561,679
გაცემული დივიდენდი	-	(58,000)	(58,000)
31 დეკემბერი 2022	-	1,583,158	1,583,158
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი	-	93,324	93,324
გაცემული დივიდენდი	-	(97,954)	(97,954)
31 დეკემბერი 2023	-	1,578,528	1,578,528

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(65,236)	124,454
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(27,335)	(153,993)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	91,183	6,481
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(1,388)	(23,058)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ	(256)	(171)
ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	58,468	81,697
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	56,824	58,468

შპს შირაქის დირექტორი :
გივი ქავთარაძე

1 *ვ. შირაქი*



შპს შირაქი

ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „შირაქი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2012 წლის 19 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით 428518678,

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა, რძის გადამამუშავება და ყველის წარმოება, იურიდიული მისამართია: საქართველო, დედოფლისწყაროს რაიონი, სოფ. არხილოსკალო, ხოლო ფაქტიური - ქ. თბილისი, სამგორის ქ. N22,

2 მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესადარის ინფორმაციას, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება,”

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე,

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში,

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში შესული მუხლები ფასდება პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც საწარმო ოპერირებს (სამუშაო ვალუტა), კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული უცხოური სავალუტო ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება ოპერაციების განხორციელებისას გავრცელებული სავალუტო კურსების მიხედვით, უცხოური სავალუტო შემოსულობები და ზარალი, რომელიც მსგავსი ოპერაციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსების გადაყვანის შედეგია, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების“ ნაწილში, ყველა სხვა უცხოური ვალუტის გაცვლის შემოსულობა და ზარალი წარდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, „სხვა საოპერაციო ხარჯების“ ან „სხვა შემოსავლის“ ნაწილში,

2023 წლის 31 დეკემბრისთვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 2.6894 ლარს და წლის საშუალო კურსი 1 აშშ დოლარი = 2.6279 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი 1 = 2.7020 ლარს და საშუალოდ 1 აშშ დოლარი = 2.9156 ლარს),

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გატარებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის

შპს შირაქი

ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

გამოყენებით,

სავაჭრო მოთხოვნები, სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ღირებულებით, შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანიას არ ექნება კუთვნილი თანხების ამოღების შესაძლებლობა მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად,

გადახდილი ავანსები, გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში,

მარაგები, მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე, მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით,

ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თუ მარაგი გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის გასაყიდ ფასამდე, შემცირებული გაყიდვის ხარჯებით, გაუფასურების ზარალი მყისიერად აღიარდება მოგებაში ან ზარალში,

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში,

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით,

შენობა	25 წელი
მანქანა-დანადგარები	5-15 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	11-14 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა და სხვა	3-6 წელი

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თუ ბოლო საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არსებობს მითითება მნიშვნელოვან ცვლილებაზე,

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შპს შირაქი

ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

სავაჭრო და სხვა დავალიანება, სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით,

საგადასახადო ვალდებულებები, გადასახადები და ხარჯები, როგორცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას, თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასწარი გადახდის სახით,

ნასესხები სახსრები, ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით,

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%- იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0,85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში, რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება,

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას, ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია, მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა საოპერაციო დანახარჯებში,

ამონაგების აღიარება, ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ყველა სავაჭრო შემოსავლის, დოსკონტრირების, მოცულობითი ფასდათმობების გარეშე, კომპანია აღიარებს ამონაგებს მაშინ, როდესაც ამონაგების თანხის სანდოდ შეფასება შესაძლებელია; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება; და, როდესაც კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის სპეციალური კრიტერიუმები დაცულია,

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონიერული იქნება არსებულ გარემოებებში, ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო

შპს შირაქი

ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას, ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებისას ითვალისწინებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობას, ფიზიკური ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს, ამ ნებისმიერი პირობების ან დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთის კორექტირებები,

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება, მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება მომხმარებლის სპეციფიური ანგარიშების ამოღებადობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ, თუ მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი ან ფაქტობრივ დეფოლტი აღემატება შეფასებულს, ფაქტობრივი მოთხოვნების ანგარიშები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან, კომპანია საზღვრავს იმას, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნების ანგარიშებისთვის, მნიშვნელოვანია თუ არა, ის მოიცავს მოთხოვნის ანგარიშს მოთხოვნების ანგარიშების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლები და ჯამურად აფასებს მათ გაუფასურებაზე, გაუფასურების ჯამური შეფასების მიზნებისთვის, მოთხოვნების ანგარიშები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით, ეს მახასიათებლები შესატყვისია სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისა მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის იმით, რომ მაჩვენებელია მსესხებლის უნარისა, გადაიხადოს ყველა გადასახადი თანხა, რომელიც ეკისრება ამ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობებით, სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც ფასდება როგორც ინდივიდუალურად არ გაუფასურებული გაუფასურებაზე შეფასდება ჯამურად კომპანიის ისტორიული ამოღების გამოცდილების გათვალისწინებით მსგავსი ხანდაზმულობის მქონე აქტივებისთვის, სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები კეთდება ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე გარკვეული ხანდაზმულობის კატეგორიის ანგარიშებიდან, გაუფასურების ანარიცხის ღირებულება სენსიტიურია გამოყენებული სპეციფიური პროცენტებისადმი,

ფუნქციონირებადი საწარმო, ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიას ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიას საქმიანობაზე ფინანსურ ბაზრებზე სიტუაციის გავლენა,

5	ფულადი სახსრები	31-დეკ-23	31-დეკ-22
	ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	34,907	56,455
	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	3,741	1,446
	ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	18,176	566
	სულ ფულადი სახსრები	56,824	58,468
6	მარაგები	31-Dec-23	31-დეკ-22
	ნედლეული	41,018	31,393
	მზა პროდუქცია	256,853	374,737
	სხვა მარაგები	18,751	16,986
	სულ მარაგები	316,622	423,116

7 ძირითადი საშუალებები

შპს შირაქი

ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ისტორიული ღირებულება	შენიშნა- ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობ	მანქანა- დანადგარ ები	სატრანსპორტ ო საშუალებები	ოფისის აღჭურვილ ობა	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	38,136	148,810	445,658	74,302	9,530	716,436
შეძენა	-	62,773	34,337	32,814	1,864	131,788
გასვლა	-	-	-	(10,714)	-	(10,714)
2022 წლის 31 დეკემბერი	38,136	211,583	479,995	96,402	11,393	837,510
შეძენა	-	-	2,322	27,355	1,130	30,807
გასვლა	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	38,136	211,583	482,317	123,757	12,523	868,317
დაგროვილი ცვეთა	3,699	28,778	177,795	4,859	7,047	
2021 წლის 31 დეკემბერი	3,699	28,778	177,795	4,859	7,047	222,178
წლის ცვეთის ხარჯი	1,525	11,104	38,412	10,188	1,274	62,503
გასვლა	-	-	-	(520)	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	5,224	39,882	216,207	14,527	8,321	284,161
წლის ცვეთის ხარჯი	1,525	15,588	37,416	11,362	1,209	67,100
გასვლა	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	6,750	55,470	253,622	25,890	9,530	351,261
ნეტო საბალანსო						
მიწა 2022 წელი						4,237
2022 წლის 31 დეკემბერი	32,912	171,701	263,789	81,874	3,073	553,345
სულ 2022 წელი						557,583
მიწა 2023 წელი						4,237
2023 წლის 31 დეკემბერი	31,386	156,114	228,695	97,867	2,994	517,054
სულ 2023 წელი						521,291

8 ვალდებულებები

8.1 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-23	31-დეკ-22
სავაჭრო ვალდებულებები	321,456	764,811
სახელფასო ვალდებულება	23,448	-
მიღებული ავანსები	2,334	-
სხვა ვალდებულებები	7,796	17,374
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	355,035	782,185

8.2 სასესხო ვალდებულებები

	31-დეკ-23	31-დეკ-22
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება ლარში ბანკისგან	-	102,000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება ლარში დამფუძნებლისგან	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება ლარში ბანკისგან	154,000	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება ლარში დამფუძნებლისგან	39,183	-
გადასახდელი პროცენტები ლარში	405	-
სულ სასესხო ვალდებულებები	193,587	102,000

კომპანიამ აიღო 2023 წლის ივლისში საქართველოს ბანკისგან აიღო 100,000 ლარის სასესხო ვალდებულება, რომელიც დაიფარება 2024 წლის დეკემბრის თვეში, შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხი ასახულია მოკლევადიან ვალდებულებებში.

შპს შირაქი

ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	2023	2022
9 ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	(10,227)	(1,520)
საპროცენტო ხარჯი	-	-
საპროცენტო შემოსავალი	(10,227)	(1,520)
სულ ფინანსური ხარჯი		

10 საწესდებო კაპიტალი

2023 წელს კომპანიის დამფუძნებელმა გაიტანა 97954,21 ლარის დივიდენდი დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს კაპიტალი (გაუნაწილებელი მოგება) შეადგენს 1 578 528,26 ლარს

	2023	2022
11 ამონაგები	6,552,121	7,849,580
შემოსავალი საკონლოს გაყიდვიდან	9,997	-
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	6,562,118	7,849,580
სულ ამონაგები		

	2023	2022
12 რეალიზაციის თვითღირებულება	(4,815,762)	(5,776,201)
მასალების ღირებულება	-	-
ფასდაკლების ღირებულება	-	-
რეკლამის ღირებულება	-	-
სხვა ხარჯების ღირებულება	(4,815,762)	(5,776,201)
სულ რეალიზაციის თვითღირებულება		

	2023	2022
13 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	356,282	411,984
ხელფასის ხარჯი	67,084	62,503
ცვეთის ხარჯი	36,680	43,680
მომსახურების ხარჯი	30,541	4,777
იჯარის ხარჯი	164,495	43,946
მიწოდების ხარჯები	38,723	37,333
ძირითადი საშუალებების ხარჯი	45,621	93,336
სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯი	11,436	15,710
საბანკო ხარჯი	3,158	3,419
საკონსულტაციო ხარჯი	697,229	704,906
რეკლამის ხარჯი	103,246	98,775
კომუნალური ხარჯი	122,378	77,640
სხვა ხარჯი	1,676,873	1,598,009
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		

14 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

15 შეფასება და წარდგენის ვალდებულება

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

შპს შირაქი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

16 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 29 სექტემბრით;

შპს შირაქის დირექტორი
გივი ქავთრაძე

1 ✓ 3 
